ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის დეკემბრის 2	№ 14 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 770. განათლების სფეროში ქირავნობით მომუშავე პირთათვის ინვალიდობის გამო მისაცემი პენსიისა და აგრეთვე მათი სიკვდილისა ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო მათი ოჯახებისათვის მისაცემი პენსიის შესახებ.
„ 771. ცეცხლფარეშთა სწავლების შესახებ.
„ 772. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ—რევოლიუციის წინა დროის საუწყებო პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის თაობაზე—გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ.
„ 773. ტვირთის გადაზიდვისა, დატვირთვისა და გადმოტვირთვის მწარმოებელ ორგანიზაციებში, საზოგადოებებში და კონტორებში საექსპედიციო-სატრანსპორტო ოპერაციებისათვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.
„ 774. მომქლონველთა სპეცტანისამოსისა და დამცავი სათვალეების შესახებ.
„ 775. ქურების მოსაკირწყლავად საჭირო გრანიტის კუბიკების გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზებზე ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.
„ 776. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოსთან არსებულ გამომცემლობათა მოქმედების შესახებ.
„ 777. ა/კ. შრ. სახ. კ-ტის განმარტება შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნისა.
„ 778. ოწყებული ადგილის იმ საშუალო სამუშაო ხელფასის განსაზღვრის შესახებ, რაც საფუძვლად უნდა იქნეს მიღებული დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის ნორმის დაწესებისათვის.
„ 779. სავეტერინარო საქმისათვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.
„ 780. ბეჭდვითი სიტყვაში მეტრული სისტემის შემოღებისა და ყველა სათანადო შემთხვევაში ნიშნების შემოკლებისათვის თანაბარი სისტემის ხმარების შესახებ.

დადგენილება № 60 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ოქტომბრის 25.

770. განათლების სფეროში ქირავნობით მომუშავე პირთათვის ინვალიდობის გამო მისაცემი პენსიისა და მათი სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო მათი ოჯახებისათვის მისაცემი პენსიის გამოანგარიშების წესის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 9-ს თარიღისა და 212/919 №-რის დადგენილება: „განათლების სფეროში ქირავნობით მომუშავე პირთათვის ინვალიდობის გამო მისაცემი პენსიისა და მათი სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო მათი ოჯახებისათვის მისაცემი პენსიის გამოანგარიშების შესახებ“.

შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღ. მთავარ
სამმართველოს უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წ. სექტემბრის 9. № 212/919.

განათლების სფეროში ქირავნობით მომუშავე პირთათვის ინვალიდობის გამო მისაცემი პენსიისა და მათი სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო მათი ოჯახებისათვის მისაცემი პენსიის გამოანგარიშების წესის შესახებ.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღისა და 6/900 №-რის [დადგენილებისა[1]) („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1926 წ. მე-3 №-რი), სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. იანვრის

[1]) სამოქმედოდ შემოღებულია ა/კსფსრ-ში ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1926 წ. იანვრის 29-ს თარიღისა და მე-7 №-რის დადგენილებით („ა/კსფსრ შრომ. მომქმ. კანონმდ. ვესტნიკ“-ის 1926 წ. მე-2 №-რი).

3-ს თარიღისა და 2/500 № რის დადგენილებისა[1]) („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზ-ვესტია"-ს 1924 წ. 1-ლი №-რი), სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. აპრილის 1-ლის თარიღისა და 87/906 №-რის დადგენილებისა[2]) („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. მე-15-16 №-რი) და სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1925 წ. თებერვლის 19-ს თარიღისა და 79/905 №-რის დადგენილების[3]) („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია-"ს მე-14 №-რი) დასამატებლად—სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1) იმ პირთათვის პენსიის გამოსაანგარიშებლად, რომელთა ინვალიდობაც გამორკვეულია საექსპერტო კომისიების მიერ 1925 წლის ოქტომბრის 1-ს შემდეგ, აგრეთვე მათი მათი ოჯახებისათვის, უკეთუ აღნიშნული პირნი გარდაიცვალნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ 1925 წ. ოქტომბრის 1-ს შემდეგ, საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს თორმეტზე გაყოფილი ფაქტიური სამუშაო ხელფასი იმ წლისა, რომელიც წინ უძღოდა საჭირავნო სამუშაოსათვის თავდანებებას ან ინვალიდობის გამორკვევას, ვინიცობაა ამ მომენტისათვის მუშაობა მოსპობილი არა ჰქონდათ.

2) იმ პირთათვის პენსიის გამოსაანგარიშებლად, რომელთა ინვალიდობაც გამორკვეულია 1925 წ. ოქტომბრის 1-დე, აგრეთვე მათი ოჯახებისათვის, უკეთუ აღნიშნული პირნი გარდაიცვალნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ 1925 წ. ოქტომბრის 1-დე, საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს თორმეტზე გაყოფილი თანხა სამუშაო ხელფასისა, რასაც 1924 წ. ოქტომბრის 1-დან 1925 წ. ოქტომბრის 1-დე იღებდნენ განათლების სფეროში მომუშავე პირნი იმავე კვალფიკაციისა იმ ადგილას, სადაც სცხოვრობს ინვალიდი ან გარდაცვალებულისა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულის ოჯახი.

3) ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლით განსაზღვრული წესი პენსიის გამოანგარიშებისა გავრცელდება იმ ინვალიდებზედაც, რომელთა შრომის უუნარობა წარმოიშვა შრომის დროს დაშავებისაგან, აგრეთვე იმ პირთა ოჯახებზედაც, რომელნიც ასეთი დაშავებისაგან გარდაიცვალნენ.

4) უკეთუ ამა დადგენილებაში ჩამოთვლილ პირთ პენსია უკვე დაენიშნათ, თანახმად სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღისა და 6/900 №-რის დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლისა და იმავე საბჭოს 1926 წ. აპრილის 1-ლის თარიღისა და 87/906 №-რის დადგენილების მე-2 მუხლისა,—პენსიის რაოდენობა გადასინჯულ უნდა იქნეს ამა დადგენილებისამებრ; ამასთანავე ახალი ნორმით პენსია უნდა გაიცეს 1926 წ. ივლისის 1-დან და წარსული დროისთვის ანგარიში ხელახლად არ უნდა იქნეს გასწორებული.

---

[1]) ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1924 წ. აპრილის 5-ს თარიღისა და 91 №-რის სათანადო დადგენილება („ა/კსფსრ შრომის მომქმედ კანონთა კრებული", 1926 წ. გამოცემა, მუხ. 956).

[2]) სამოქმედოდ შემოღებულია ა/კსფსრ-ში ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1926 წ. აპრილის 22-ს თარიღისა და 21 №-რის დადგენილებით („ა/კსფსრ შრომის კანონთა ვესტნიკ"-ის 1926 წ. მე-8 №-რი)

[3]) სამოქმედოდ შემოღებულია ა/კსფსრ-ში ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღისა და 27 №-რის დადგენილებით („ა/კსფსრ შრომის მომქმედ კანონთა კრებული", 1926 წ. გამოცემა, მუხ. 960)

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღისა და 6/900 №-რის დადგენილება შეფარდებულ უნდა იქნეს ამა დადგენილებაში ჩამოთვლილ პენსიონერთათვის სრულად.

სოც. დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1330 №-ში 1926 წ. ნოემბრის 17-ს.

დადგენილება № 67 ა/ბ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ნოემბრის 11.

771. ცეცხლფარეშთა სწავლების საკითხის გამო სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული დადგენილებისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციის ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე შემდეგი დადგენილება და ინსტრუქცია:

1) სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. მაისის 11-ს თარიღისა და 109-343 №-რის დადგენილება „ცეცხლფარეშთა მიერ ორთქლის ქვაბის მოვლის წესის შესახებ" [1]).

2) სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. ივლისის 7-ს და 147-355 (შრ. სახ. კ-ტის) №-რის ინსტრუქცია „ცეცხლფარეშთა სავალდებულო სწავლების შესახებ" [2]).

ა/კ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

შრომის დაცვის განყ. გამგის მაგიერ **პოლისადოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1332 №-ში 1926 წ. ნოემბრის 19-ს.

---

[1]) გამოქვეყნებულია „სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 19-20 (მე-3 გვ.) №-ში 1926 წ. მაისის 28-ს.

[2]) გამოქვეყნებულია „სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 27-28 (მე-46 გვ.) №-ში 1926 წ. ივლისის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 68 აპ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ნოემბრის 13.

772. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ—რევოლიუციის წინა-დროის საუწყებო პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის თაობაზე—1926 წლის სექტემბრის 9-ს თარიღითა და და 206-641 №-რით გამოცემული დადგენილების[1]) 1-ლი მუხ. შეფარდების წესის შესახებ.

ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში საბჭოთა წესწყობილების დამყარების ვადების მიხედვით ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ—რევოლიუციის წინა-დროის საუწყებო პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის შესახებ—1926 წლ. სექტემბრის 9-ს თარიღითა და 206-917 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შეფარდებისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი დატები: საქართველოსათვის—1921 წლის თებერვლის 25, აზერბაიჯანისათვის—1920 წ. აპრილის 28 და სომხეთისათვის—1920 წ. ნოემბრის 29.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრ. სახ. კო-ტის სოც. დაზღ. მთავარ
სამმართველოს უფრ. მაგიერ **ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1332 №-ში 1926 წ. ნოემბრის 19-ს.

---

[1]) შემოღებულია სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1926 წ. ოქტომბრის 9-ს თარიღისა და 56 №-რის დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკანონმდებლო დადგენილება № 3 აკაფსურ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1926 წ. ნოემბრის 11.

773. ტვირთის გადაზიდვისა, დატვირთვისა და გადმოტვირთვის მწარმოებელ ორგანიზაციებში, საზოგადოებებში და კონტორებში საექსპედიციო-სატრანსპორტო ოპერაციებისათვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

1) შემოღებულ იქნეს 1927 წ. იანვრის 1-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ზომაწონის მეტრული სისტემა ტვირთის. გადაზიდვისა, დატვირთვისა და გადმოტვირთვის მწარმოებელ ორგანიზაციებში, საზოგადოებებში და კონტორებში საექსპედიციო-სატრანსპორტო ოპერაციებისათვის.

2) 1927 წ. იანვრის 1-დან ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებებში ძველ საზომ-საწონთა ხმარება აკრძალულია.

3) ამა დადგენილების 1-ლი მუხ. შესასრულებლად—ყველა ჩამოთვლილი დაწესებულება მოვალეა იქონიოს ზემოაღნიშნული ვადისათვის მეტრული სისტემის სასწორი, გირები და სხვა საზომ-საწონი, რასაც უნდა ჰქონდეს შემმოწმებელ პალატის დაღი; თანაც უნდა მიიღოს ყველა სასწრაფო ღონისძიება, რათა ტეხნიკური პერსონალი მომზადებულ იქნეს მეტრული სისტემის პრაქტიკული განხორციელებისათვის და მას საამისო ინსტრუქტიობა გაეწიოს.

4) ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრება ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ეკონომიური თათბირების რწმუნებულთ, რომელნიც იმავე დროს ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელნი არიან ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკაში, ხოლო მეთვალყურეობა სათანადო ორგანიზაციათა და საწარმოთა მიერ ამავე დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება აღმასრულებელი კომიტეტების საადმინისტრაციო განყოფილებებს.

5) ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ა. ბეკზადიანი.**

ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული
კომიხიის თავმჯდომარე, პროფესორი **ზავრიევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1333 №-ში 1926 წ. ნოემბრის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 69 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ნოემბრის 15.

774. მომქლონველთა სპეცტანისამოსისა და დამცავი სათვალეების შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „მომქლონველთა სპეცტანისამოსისა და დამცავი საათვალეების შესახებ“ 1926 წ. ნოემბრის 2-ს თარიღითა და 235/383 №-რით გამოცემული დადგენილების მიხედვით და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ლითონის მრეწველობაში არსებული სპეცტანისამოსის ნორმების დასამატებლად და შესაცვლელად, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დაწესებულ იქნეს მომქლონველთათვის სპეცტანისამოსის შემდეგი ნორმა:

1. ბრეზენტის ხელთათმანები—3 თვე.

2. ტილოს ტანისამოსი განსაკუთრებით ჭუჭყიან ადგილას მუშაობისათვის —3 თვე.

2. სათვალე—საჭიროებისადა მიხედვით.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის დაცვის
განყ. გამგის მაგიერ **მ. შახნაზაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1338 №-ში 1926 წ. ნოემბრის 26-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. ბამგეოგასთან არსებული საუნჯეგათაშორისო სატარიფო თათგირისა

1926 წ. ნოემბრის 17. № 15—4/9.

775. ქუჩების მოსაკირწყლავად საჭირო გრანიტის კუბიკების გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზებზე ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ქუჩების მოსაკირწყლავად საჭირო გრანიტის კუბიკების (ტვ. 41 პოზიციის) გადაზიდვისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ტარიფი:

1. ა/კ. რკ. გზ. სამხრეთი ხაზის ბამბაკის ასაქცევიდან ერევანის სადგურამდე—3,0 კაპ. ფუთზე ან 183 კაპ. ტონნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ა/კ. რკ. გზ. სამხრეთი ხაზის ბამბაკის ასაქცევიდან ტფილისის სადგურამდე—2,2 კაპ. ფუთზე ან 134 კაპ. ტონნაზე.

დამატებითი გამოსაღები—საერთო საფუძველზე.

ტარიფი ესე დამყარებულია ერთი წლის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება შვიდი დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყ.
სატარიფო-საათბირის თავმჯდ. მოადგილე **ასლანოვი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **ზაბუდაღვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1338 №-ში 1927 წ. ნოემბრის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 43 აპსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

776. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოსთან არსებულ გამომცემლობათა მოწესრიგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებასთან არსებული ყველა გამომცემლობა (საუწყებო გამომცემლობა) უნდა მოქმედებდეს კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე, განსაზღვრული წესისამებრ დამტკიცებული წესდების თანახმად.

2. ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებასთან არსებული გამომცემლობის 1926-1927 საბიუჯეტო წლის კრედიტები მოთავსებულ უნდა იქნეს აღნიშნული დაწესებულების ხარჯთაღრიცხვაში იმ რაოდენობით, რაც საჭიროა წინამდებარე წელიწადში გამომცემლობის მოსალოდნელი დეფიციტის დასაფარავად; ამასთანავე დაწესებულებამ უნდა წარადგინოს თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთები, რომ დეფიციტი აუცილებელია და რომ მისი აცილება შეუძლებელია კომერციული შემოსავლის გადიდებით ან გამომცემლობის მოქმედების ფარგლის შემცირებით.

3. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოსთან არსებული გამომცემლობის ხარჯთაღრიცხვა გამოყოფილ უნდა იქნეს, როგორც სათანადო საწარმოს ხარჯთაღრიცხვის დამოუკიდებელი ნაწილი.

4. 1-ლსა და მე-3 მუხ. აღნიშნულ გამომცემლობას შეუძლიან გამოუშვას ისეთი გამოცემა, რაც შეტანილია სათანადო სახალხო კომისრის ან დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვის მქონი ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულ სიაში.

5. მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება სათანადო უწყების ხელმძღვანელს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების მიმართ— აგრეთვე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება ეძლევათ გამოსცენ სათანადო დადგენილება რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და აგრეთვე კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა შესახებ.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ნოემბრის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1339 №-ში 1926 წ. ნოემბრის 27-ს.

განმარტება № 7 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ნოემბრის 22.

777. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. შენიშვნის შესახებ.

რადგანაც შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის პირველი შენიშვნა სწორედ არ არის ხოლმე შეფარდებული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების ზედამხედველობის ბიუროებში კონფლიქტების განხილვის დროს, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

აღნიშნული შენიშვნის თანახმად, შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულობის მოშლა შეიძლება მხოლოდ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებით.

შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის ეს შენიშვნა ამყარებს შრომის ხელშეკრულობის მოშლის წესს, ხოლო როდი განსაზღვრავს თვით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის კომპეტენციას.

ამის გამო, უკეთუ შრომის ხელშეკრულობა მოშლილი იქნა შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამქირავებელი მოვალეა, ზემოაღნიშნული შენიშვნის თანახმად, საქმე განსახილველად გადასცეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიტანს გადაწყვეტილებას არა მუშის ან მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, არამედ იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ იგი არ ვარგა ან სისტემატიურად არღვევდა შინაგანი განრიგების წესებს.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ხ. გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის ზედამხედველობის ბიუროს გამგე **კ. აბაშიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1339 №-ში 1926 წ. ნოემბრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 70 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ნოემბრის 18.

778. უწყებული ადგილის იმ საშუალო სამუშაო ხელფასის განსაზღვრის წესის შესახებ, რაც მიღებულ უნდა იქნეს საფუძვლად დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის დაწესებისათვის.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო ქომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 27 ს თარიღისა და 236/923 №-რის დადგენილება: „უწყებული ადგილის იმ საშუალო სამუშაო ხელფასის განსაზღვრის წესის შესახებ, რაც მიღებულ უნდა იქნეს საფუძვლად დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის ნორმის დაწესებისათვის“.

2. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ სექტემბრის 27-ს თარიღისა და 236/923 №-რის დადგენილების მე-4 მუხლით საგუბერნიო დამზღვევ სალაროებისათვის მიკუთვნებული ფუნქციები დაეკისროს სათანადო რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევის
მთავარ სამმართველოს უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წ. სექტემბრის 27. № 236/923.

უწყებული ადგილის იმ საშუალო სამუშაო ხელფასის განსაზღვრის წესის შესახებ, რაც მიღებულ უნდა იქნეს საფუძვლად დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის ნორმის დაწესებისათვის.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის დახმარებისა და პენსიის ნორმების შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღითა და 77/904 №-რით გამოცემული („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს

1925 წ. მე-14 №-რი) დადგენილების[1]) მე-2 მუხლისა და იმავე საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის წესით მისაცემი პენსიის ნორმების შესახებ“ 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღითა და 6/900 №-რით გამოცემული („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1926 წ. მე-3 №-რი) დადგენილების[2]) მე-11 მუხლის შესაცვლელად, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს: შემოღებულ იქნეს შემდეგი წესი უწყებული ადგილის იმ საშუალო სამუშაო ხელფასის განსაზღვრისა, რაც საფუძვლად უნდა იქნეს მიღებული დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის ნორმის დაწესებისათვის.

1. უწყებული ადგილის საშუალო სამუშაო ხელფასი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს წელიწადში ორჯერ დამზღვევი ორგანოების მასალების თანახმად იმ ანგარიშგასწორების ნუსხების მიხედვით, რომლითაც დამაზღვეველთა მიერ გაცემულია სამუშაო ხელფასი მარტში და ოქტომბერში.

2. დამზღვევი სალარო, საბარათო კატალოგის მიხედვით, გამოარკვევს:

ა) იმ დაზღვეულთა საერთო რიცხვს, რომელნიც სალაროს აღნუსხვაზე ითვლებიან მარტის ან ოქტომბრის პირველი და უკანასკნელი რიცხვისათვის;

ბ) მარტისა ან ოქტომბრის განმავლობაში გაცემული სამუშაო ხელფასის თანხას.

იმ დაწესებულებისა და საწარმოს მიმართ, რომელსაც მარტის ან ოქტომბრის ანგარიშგასწორების ნუსხა არ წარუდგენია, საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს — როგორც დაზღვეულთა რიცხვისათვის, ისე სამუშაო ხელფასის თანხისათვის — უახლოესი წინა თვის ცნობები.

შენიშვნა 1. მარტის (ოქტომბრის) 1-თვის დაზღვეულთა რაცხვად მიიღება თებერვლის 28-თვის (29-თვის) (სექტემბრის 30-თვის) დაზღვეულთა რიცხვი.

შენიშვნა 2. დაზღვეულთა საერთო რიცხვისა და მათთვის მიცემული სამუშაო ხელფასის გამორკვევის დროს ცნობები ნაწილობრივ დაზღვეულთა რიცხვისა და მათთვის მიცემული სამუშაო ხელფასის შესახებ მხედველობაში არ მიიღება.

3. დაზღვეულთა საშუალო რიცხვის გამოსარკვევად მარტში ან ოქტომბერში საჭიროა დაზღვეულთა რიცხვი, რაც აღნიშნული თვის პირველისა და უკანასკნელი რიცხვისათვის ითვლება, შეერთებულ იქნეს და ამ შეერთების შედეგი შუაზე გაიყოს. საშუალო სამუშაო ხელფასის გამოსარკვევად საჭიროა სამუშაო ხელფასის თანხა (მუხ. 2) დაზღვეულთა საშუალო რიცხვზე გაიყოს.

---

[1]) შემოღებულია სამოქმედოდ ა/კსფსრ-ში ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1926 წ. იანვრის 29-ს თარიღისა და მე-7 №-რის დადგენილებით (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონების კრებული, 1926 წ. გამოცემა, გვ. 1039).

[2]) შემოღებულია სამოქმედოდ ა/კსფსრ-ში ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1926 წ. იანვრის 29-ს თარიღისა და მე-7 №-რის დადგენილებით (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონების კრებული, 1926 წ. გამოცემა, გვ. 1041).

4. საშუალო სამუშაო ხელფასს განსაზღვრავს კომისია, რომელიც მოეწყობა საგუბერნიო (ან თანაბარი) დამზღვევი სალაროს კომიტეტთან, პროფესიონალურ კავშირთა საგუბერნიო (ან თანაბარი) საბჭოს, შრომის სტატისტიკის ორგანოს და დამზღვევი სალაროს წარმომადგენელთა შედგენილობით; საშუალო სამუშაო ხელფასი უნდა განისაზღვროს წელიწადში ორჯერ—არა უგვიანეს ივლისის 1-სა და იანვრის 1-სა დამზღვევი ორგანოების მიერ წარდგენილი ცნობებისა და პროფესიონალურ კავშირთა საგუბერნიო (ან თანაბარი) საბჭოს შრომის სტატისტიკის განყოფილების ცნობების შეფარდებით.

5. ივლისის 1-თვის და იანვრის 1-თვის განსაზღვრული საშუალო სამუშაო ხელფასი (მუხ. 4) მიიღება საფუძვლად დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის ნორმების დაწესებისათვის, რა ნორმებიც მოქმედებს ივლისის 1-დან იანვრის 1-დე და იანვრის 1-დან ივლისის 1-დე.

6. სატრანსპორტო სალაროების მიერ დახმარებისა და უკიდურესი რაოდენობის პენსიის ნორმების გამოსაანგარიშებლად საფუძვლად მიიღება საშუალო ხელფასი, რაც დაწესებულია სათანადო ტერიტორიალური დამზღვევი სალაროსათვის, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს რკინის გზის ან წყალსავალი გზის უწყებული უბანი.

სოციალური დაზღვევის საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **კუზიატინი.**

საკავშირო დადგენილება № 9 აკსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1926 წ. ნოემბრის 11.

779. სავეტერინარო საქმისათვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს დადგენილების მე-11 §-ს „გ“ პუნ. თანახმად ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ ყველა სამოქალაქო სავეტერინარო დაწესებულებაში 1926 წ. დეკემბრის 1-დან მეტრული სისტემის ზომა-წონა.

2. რესპუბლიკანურ სავეტერინარო განყოფილებათა საწყობებში, სავეტერინარო-საბაქტერიოლოგიო დაწესებულებებში, სავეტერინარო სამკურნალოებში, სავეტერინარო ამბულატორიებში, სავეტერინარო-სამკურნალო უბნებში და სავეტერინარო-საფერშლო უბნებში ყოველგვარი გაზომ-აწონვა, მათ შორის ოთხფეხი საქონლისაც, უნდა სწარმოებდეს მეტრული სისტემით, არა მარტო სავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერინარო მომარაგების საგნებისა, არამედ სხვა დანარჩენი მასალისა, რაც ამ დაწესებულებებშია (ფურაჟი, სხვადასხვა ტეხნიკური მასალა და სხვ.).

3. დათვალიერების პუნქტებში, ბაზებში, საუტილიზაციო ქარხნებში და სხვა დაწესებულებაში, რომლის სამეურნეო ნაწილიც საეტერინაროო ორგანოების განკარგულებაში არ არის, ზომა-წონის მეტრული სისტემა ეხება მხოლოდ სპეციალურ საეტერინარო მომარაგებას.

4. ამა დადგენილების განხორციელება და მისი აღსრულებისათვის თვალყურის დევნა დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულთ.

5. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **გუნცაძე.**

მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1341 №-ში 1926 წ. ნოემბრის 30-ს.

სავალდებულო დადგენილება № 10 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1926 წ. ნოემბრის 16.

780. ბეჭდვითი სიტყვაში მეტრული სისტემის შემოღებისა და ყველა სათანადო შემთხვევაში აღნიშვნების შემოკლებისათვის თანაბარი სისტემის ხმარების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 ს-ს „გ" პუნ. თანახმად—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. დაევალოს ყველა გამომცემლობას (მუდმივი და დროგამოშვებითი ბეჭ, დვითი სიტყვისას) თანადროული თემების ახსნა-განხილვის დროს ჟურნალებში გაზეთებში, ფურცლებში, წიგნებში, პუბლიკაციებში, განცხადებებში და სხვ. სახელდებული რიცხვები მოათავსოს ხოლმე მეტრული სისტემით, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, იმავე აღნიშვნების ზომა-წონა მოათავსოს ფრჩხილებში რუსული საზომ-საწონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სპეციალურ, მეცნიერულ, მხატვრულ, თარგმნილ, ისტორიულ, არქივულ და სხვა სამუშაოში გაზომ-აწონის შედეგები მოთავსებულ უნდა იქნეს მეტრული სისტემით.

3. ყოველგვარი მეტრული ზომა-წონის აღსანიშნავად დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები მათი სახელწოდების შესამოკლებლად:

I. საწონი:

	შემოკლ. რუს. სახელდ.	შემოკლ. უცხ. სახელდ.
1. ტონნა მეტრული=ათას კილოგრამმს . . .	т	t
2. ცენტერი=ას კილოგრამმს	ц	c
3. კილოგრამმი	кг	kg
4. გრამმი=ერთ მეათასედ კილოგრამმს	г	g
5. დეციგრამმი=ერთ მეათიათასედ კილოგრამმს (ერთ მეათედ გრამმს)	дг	dg
6. სანტიგრამმი=ერთი მეასიათასედ კილოგრამმს (ერთ მეასედ გრამმს)	сг	cg
7. მილიგრამმი=ერთ მილიონედ კილოგრამმს (ერთ მეასიათასედ გრამმს)	мг	mg
8. კარატი მეტრული=ორას მილიგრამმს . .	к	c

II. ზომა ხაზოვანი:

9. კილომეტრი=ათას მეტრს	км	km
10. მეტრი	м	m
11. დეციმეტრი=ერთ მეათედ მეტრს	дм	dm
12. სანტიმეტრი=ერთ მეასედ მეტრს	см	cm
13. მილიმეტრი=ერთ მეათასედ მეტრს	мм	mm
14. მიკრონი=ერთ მილიონედ მეტრს (ერთ მეათასედ მილიმეტრს)		

III. ზომა კვადრატული:

15. კვადრატული კილომეტრი=ერთ მილიონ კვადრ. მეტრს	кв. км; км²	km²
16. ჰექტარი=ათი ათას კვადრ. მეტრს	га	ha
17. არ=ას კვადრ. მეტრს	a	a
18. კვადრატული მეტრი	кв. м; м²	m²
19. კვადრ. დეციმეტრი=ერთ მეასედ კვადრ. მეტრს .	кв. дм; дм²	dm²
20. კვადრ. სანტიმეტრი=ერთ მეათიათასედ კვ. მეტრს	кв. см; см²	cm²
21. კვადრ. მილიმეტრი=ერთ მილიონედ კვადრ. მეტრს	кв. мм; мм²	mm²

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ზომა კუბიკური:

22.	კუბიკური კილომეტრი=ერთ მილიარდ კუბიკ. მეტრს	куб. км;	км³ km³
23.	კუბიკური მეტრი	куб. м;	м³ m³
24.	კუბიკური დეციმეტრი=ერთ მეათასედ კუბ. მეტრს	куб. дм;	дм³ dm³
25.	კუბიკური სანტიმეტრი=ერთ მილიონედ კუბ. მეტრს	куб. см;	см³ cm³
26.	კუბიკური მილიმეტრი=ერთ მილიარდედ კუბიკ. მეტრს	куб. мм;	мм³ mm³

V. ზომა მოცულობისა:

27.	კილოლიტრი=ათას ლიტრს	кл kl
28.	ჰექტოლიტრი=ას ლიტრს	гл hl
29.	დეკალიტრი=ათ ლიტრს	дкл dkl
30.	ლიტრი	л l
31.	დეცილიტრი=ერთ მეათედ ლიტრს	дл dl
32.	სანტილიტრი=ერთ მეასედ ლიტრს	сл cl
33.	მილილიტრ=ერთ მეათასედ ლიტრს	мл ml

შენიშვნა 1. შემოკლებული სახელწოდება იწერება სტრიქონშივე რიცხვითი ოდენობის შემდეგ, უწერტილოდ. ხოლო, უკეთუ შემოკლებულია სიტყვა „კვადრატული“—„კვ“-ად და „კუბიკური“—„კუბ“-ად,—დაისმის წერტილი.

შენიშვნა 2. სახელწოდებათა შესამოკლებლად იხმარება ან რუსული, ან ლათინური ალფაბეტი. ბერძნული ალფაბეტი დატოვებულია „მიკრონ“-ის აღსანიშნავად.

შენიშვნა 3. შემოკლებული სახელწოდება აიწყობა ან ჩვეულებრივი შრიფტით, ან კურსივით.

4. სავალდებულო დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. იანვრის 1-დან.

5. მეთვალყურეობა ამა სავალდებულო დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მთავლიტებსა და მათ ორგანოებს.

6. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **გუნცაძე.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1941 №-ში 1926 წ. ნოემბრის 30-ს.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი